საქართველოს მთავრობის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტის საკონსულტაციო საბჭოს და ინკლუზიური განათლების თემატური სამუშაო ჯგუფის წევრების შეხვედრის ოქმი

26 იანვარი 2024 წელი

შეხვედრის ოქმი

შეხვედრის თავმჯდომარე, ნიკო თათულაშვილი - საქართველოს პრემიერ- მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში.

შეხვედრის მდივანი, ანა ხაჭაპურიძე, - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა სამდივნოს სპეციალისტი.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა ნიკო თათულაშვილმა, პრემიერ მინისტრის მრჩეველმა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში. იგი 2023 წლის 3 დეკემბერს გამართულ კომიტეტის სხდომას შეეხო, რომელზეც სხვა თემებთან ერთად წარმოდგენილი იყო ინკლუზიური განათლების საკითხები. მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილემ, თამარ მახარაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, გამართულიყო დამატებითი შეხვედრა, სადაც მიმოხილულ საკითხებს სიღრმისეულად შეეხებოდნენ. ნიკო თათულაშვილმა აღნიშნა, რომ სწორედ ამიტომ ტარდება აღნიშნული შეხვედრა და თამარ მახარაშვილი თავის გუნდთან ერთად წარმოადგენს ინკლუზიური განათლების შესახებ დამატებით ინფორმაციას.

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე თამარ მახარაშვილი მიესალმა შეხვედრის დამსწრეებს და მადლობა გადაუხადა ნიკო თათულაშვილს შეხვედრის ორგანიზებისათვის. თამარ მახარაშვილმა აღნიშნა, რომ მიმდინარე შეხვედრაზე წარმოადგენს საკითხებს, რომლებიც 3 დეკემბრის კომიტეტის სხდომაზე სრულად ვერ დაიფარა და დამატებით ინფორმაციებს მიაწოდებს დამსწრეებს მათი შეკითხვების შესაბამისად, რომლებიც მან კომიტეტის სხდომის დროს მოინიშნა. თამარ მახარაშვილმა აღნიშნა, რომ დამსწრეებს პრეზენტაციას წარუდგენენ ინკლუზიური განვითარების სამმართველოს უფროსი თამარ ჟღენტი და სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ეკატერინე ლეჟავა.

სიტყვა გადაეცა თამარ ჟღენტს, რომელმაც ხაზი გაუსვა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივითა და ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით ინკლუზიური განათლების სისტემის რეფორმირებას საქართველოში. პროექტის ფარგლებში მოხდა საქართველოში ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული საჭიროებების შესწავლა, მომზადდა ანგარიში რეკომენდაციებით - STATPED, შემუშავდა ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ახალი ეროვნული სისტემის მოდელი, განხორციელდა ახალი მხარდამჭერი სისტემის ფორმირებისთვის მოსამზადებელი სამუშაოები. მასში მოიაზრება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასება, კონსულტირების კომპონენტის გაძლიერება, რაც სიახლეს წარმოადგენს და იგი მოხდება სპეციალიზაციის შესაბამისად სმენის სირთულეები, მხედველობის სირთულეები, ქცევის სირთულეები, სწავლის კომპლექსური და სპეციფიკური სირთულეები. განხორციელდება ასევე, ტრანზიციის პროცესში ხელშეწყობა და რესურს სკოლების განვითარება. რესურს სკოლები ამ სისტემაში ჩართულები იქნებიან, როგორც კონსულტირების განმახორციელებელი ერთეულები და რესურს სკოლები გარდაიქმნებიან ისეთ დაწესებულებად, რომლებიც თბილისსა და თავიანთი რეგიონის მასშტაბით სკოლების მომსახურებასა და მხარდაჭერას განახორციელებენ.

ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ახალი მოდელი იფუნქციონირებს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის სახით, რომრლშიც ასევე გადავა მულტიდისციპლინური გუნდი, სსიპ - მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ქცევის კონსულტანტები და

საგანმანათლებლო სერვისისა და ინტეგრირებული კლასების სუპერვიზორები. იგეგმება ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერი ცენტრის, (სამმართველოს ფორმირება, (2024 წ. მარტი-ივნისი). ამ შემთხვევაში პოლიტიკის განმსაზღვრელი იქნება განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული რგოლი, ხოლო პრაქტიკის განმახორციელებელი იქნება მანდატურის სამსახური, სამი მიმართულებით - მანდატურების მომსახურება, ფსიქოსოციალური ტიპის მომსახურებები და ინკლუზიური განათლების მხარდაჭერის ცენტრი, თავისი განშტოებებით, რაც გულისხმობს შეფასებას, კონსულტირებასა და სხვადასხვა სერვისების განვითარებას. ეს ძირითადი საკონსულტაციო მიმართულებები იქნება, რომელთა განვითარებაც იქნება განათლების სამინისტროსათვის პრიორიტეტი. ცენტრის მანდატი არის ინკლუზიური განათლების მხარდაჭერა, ორიენტირებულია შეფასებაზე, სპეციალური საჭიროებების იდენტიფიცირებაზე, რესურსების განვითარებაზე, მეთოდოლოგიის, ადამიანური რესურსებისა და კონსულტირების მიდგომების განვითარებაზე.

თამარ მახარაშვილმა ისაუბრა რესურს სკოლებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სკოლებს, რომელთაც მეტი კომპეტენცია აქვთ ზოგადად ამ მიმართულებით გამოყენებულ იქნებიან, როგორც სერვის პროვაიდერები. ხაზი გაუსვა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მზაობას, რომ რესურს სკოლების რესურსი იყოს მაქსიმალურად გამოყენებული, რათა ინკლუზიურობის ნაწილში ყველა მასწავლებელს ჰქონდეს შესაბამისი კომპეტენცია რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს შესთავაზონ ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურება. ეს ყოველივე ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან 62.000 მასწავლებლის გადამზადება დროში გახანგრძლივებული პროცესია, უნდა არსებობდეს ერთგვარი ტრენინგ მიმწოდებელი რესურს სკოლები, რომლებიც სხვა სკოლის მასწავლებლებს გაუწევენ შესაბამის კონსულტაციას და გაუზიარებენ გამოცდილებას. თამარ მახარაშვილმა აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია როგორ ხდება ტრანზიცია სკოლაში პირველადი ტრანზიცია და სკოლებს შორის ტრანზიცია როგორ გადადის ზოგადი განათლებიდან პროფესიულში და უმაღლესში ანუ მთლიანად როგორ არის ეს სისტემა აწყობილი. ამასთან დაკავშირებით თამარ ჟღენტმა დეტალურად მიმოიხილა ტრანზიციის პროცესი და აღნიშნა, რომ ბავშვისათვის ძალიან მნიშვნელოვანია სკოლის ეტაპი და სკოლაში ტრანზიცია, რისთვისაც განათლების სამინისტროს მრავალფეროვანი მიდგომები აქვს შემუშავებული. მნიშვნელოვანია სკოლის მხრიდან სწორი ქმედება და ინტერვენცია ტრანზიციის პროცესის დაგეგმვისას, განსაკუთრებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა შემთხვევაში. შემუშავებულია სპეციალური გაიდლაინები, რომელთა მიხედვითაც უნდა იხელმძღვანელოს სკოლამ. თამარ ჟღენტმა რესურს სკოლებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მათ აქვთ გამოცდილება და ცოდნა, რომლის გაზიარებაც მნიშვნელოვანია სხვა სკოლებისათვის, რათა საგანმანათლებლო სივრცე გახდეს მეტად ინკლუზიური.

თამარ მახარაშვილმა აღნიშნა, რომ როდესაც პირველ კლასელთათვის ცხადდება რეგისტრაცია, პირველ რიგში ცხადდება სსსმ და შშმ მოსწავლეებისათვის, რისთვისაც ტრანზიციის პროცესში ერთვება მულტიგუნდი და ხდება მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირება.

თამარ ჟღენტი შეეხო სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების საკითხს და აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც სკოლის ასაკის ბავშვი არ რეგისტრირდება პირველ კლასში სამინისტროს აქვს რესურსი გამოავლინოს ასეთი ბავშვები და იწყება მათ ოჯახებთან მუშაობა, რათა მოზარდი ჩაებას სასკოლო განათლებაში. შემდგომი ნაბიჯია ბავშვების საგანმანათლებლო საჭიროებების იდენტიფიცირება რასაც ახორციელებს მულტიდისციპლინური გუნდი და შემდგომ ხდება რეკომენდაციის გაცემა რა სახის მიდგომებს საჭიროებს მოსწავლე. ზოგადი განათლების საფეხურიდან ტრანზიცია კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ეტაპია, რადგან ვერ ან დაგვიანებულად ხდება შესაძლებლობებისა და საჭიროებების იდენტიფიცირება. ზოგადი განათლების შემდგომ ტრანზიციის პროცესის არსი ახალგაზრდებისათვის თვითგამორკვევაში დახმარებაში მდგომარეობს. მნიშვნელოვანია დადგინდეს რა მოლოდინი შეიძლება ქონდეს მოსწავლეს პროფესიული განათლებისგან, რას შეიძენს პროფესიული განათლებიდან, რა დამატებითი უნარებით აღიჭურვება.

თამარ ჟღენტმა აღნიშნა, რომ პროფესიული უნარების სააგენტოში არსებობს კონსულტანტთა გუნდი, რომლებიც მხარს უჭერენ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ინკლუზიური განათლების კუთხით არსებულ სპეციალისტებს. ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ახალი მოდელის დანერგვის ხელშეწყობისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტთა კომპეტენციის გაზრდის მიზნით ჩატარდა ტრენინგების ციკლი (2022-2023 წწ.):ლიდერობის განვითარების ტრენინგები - მმართველი რგოლის წარმომადგენლებისთვის (სამინისტრო, მანდატურის სამსახური, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, რესურსსკოლები); კონსულტირების განვითარების ტრენინგები - პრაქტიკოსებისთვის, (მულტიდისციპლინური გუნდის წევრები, მასწავლებლის სახლის ინდივიდუალური კონსულტანტები, ინტეგრირებული კლასის სუპერვაიზორები, რესურსსკოლების მასწავლებლები/სპეციალისტები); განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები (2023 წ. ნოემბერი);

თამარ ჟღენტმა ისაუბრა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის წესის შესახებ და აღნიშნა, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის უზრუნველყოფილია ჩარიცხვისათვის საჭირო მხარდაჭერა და აღნიშნა, რომ სსსმ პირები პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში გამოცდების გარეშე ირიცხებიან, რასთან დაკავშირებითაც თამარ მახარაშვილმა დამსწრეებს მიაწოდა განახლებული ინფორმაცია, რომ სსსმ პირებისათვის ამოქმედდა დუალური პროგრამა, რაც გულისხმობს, რომ სწავლა მიმდინარეობს, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპონენტის გათვალისწინებით. შემუშავებულია ინკლუზიური პროფესიული განათლების კონცეფცია, რომელიც წარმოადგენს სტრატეგიულ ხედვას პროფესიული განათლების სისტემაში ინკლუზიურობის მიღწევისთვის საჭირო პოლიტიკური და საკანონდებლო ჩარჩოს შექმნისა და საუკეთესო პრაქტიკების დანერგვის მიმართულებით.

თამარ ჟღენტმა დამსწრეებს წარუდგინა ინკლუზიური განათლების კუთხით დასაქმებული სპეციალისტების რაოდენობის შესახებ სტატისტიკა: სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური: ფსიქოსოციალური მომსახურება (ფსიქოლოგები, ფსიქიატრები, სოციალური მუშაკები), ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური

გუნდი, ინტეგრირებული კლასების სუპერვიზორები, ინდივიდუალური კონსულტანტები (ქცევის სპეციალისტები), + დამატებითი სპეციალისტები (სმენის, მხედველობის, მრავლობითი დარღვევა, დასწავლის სპეციფიკური სირთულეები, გაფართოებული და ალტერნატიული კომუნიკაცია, დამხმარე ტექნოლოგიები), რესურსსკოლების მასწავლებლები/ სპეციალისტები);

სტრუქტურული მიმდევრობით: განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ;ინკლუზიური განვითარების სამმართველო; ინკლუზიური განათლების პოლიტიკის განსაზღვრა, კვლევა, მონიტორინგი, *ანალიზი*; 2 სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური , დაგეგმარებისა და ანალიზის სამმართველო (მმართველი რგოლი); ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი (მმართველი რგოლი); ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერი ცენტრი (მმართველი რგოლი); მანდატურები; ფსიქოლოგები; სოციალური მუშაკები; ფსიქიატრი; ფსიქო-საგანმანათლებლო შეფასების მენეჯერი; სპეციალიზებული და გაფართოებული საკონსულტაციო მომსახურების მენეჯერი; ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი მომსახურებების და რესურსების მენეჯერი.

თამარ მახარაშვილმა ისაუბრა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2023 წელს ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობაზე და დამსწრეებს აჩვენა სტატისტიკური მონაცემები.

2023 წელს პროფესიულ პროგრამებზე ჩაირიცხა 282 სსსმ/შშმ სტუდენტი. 2023 წლის დეკემბრის მონაცემებით, აქტიური პროფესიული სტუდენტის სტატუსი აქვს 448 სსსმ/შშმ პირს სტუდენტს.

თამარ ჟღენტმა ისაუბრა საორიენტაციო სერვისის შესახებ. უნარების სააგენტომ შეიმუშავა კარიერის მართვის ახალი, პირის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე, საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებული საორიენტაციო სერვისი სსსმ და შშმ პირებისათვის. სერვისის მთავარი მიზანია უზრუნველყოს სსსმ და შშმ პირთა ინფორმირებული პროფესიული არჩევანის მიღებაში მხარდაჭერა, ასევე ხელი შეუწყოს პირთა პროფესიული განათლების საფეხურზე ტრანზიციას. სერვისი შემუშავდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. სერვისის ძირითადი მახასიათებლებია: სერვისით სარგებლობა შეუძლიათ დაინტერესებულ პირებს, სხვადასხვა საგანმანათლებლო საჭიროებითა და შეზღუდული შესაძლებლობით 14 წლის ასაკიდან. სერვისის მსვლელობის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია, აპლიკანტის მიერ პროფესიის და არა კოლეჯის, ან საგანმანათლებლო პროგრამის არჩევანი. აპლიკანტი ირჩევს პროფესიების ფართო სფეროს / პროფესიათა ჯგუფს. სერვისის ფარგლებში, გათვალისწინებულია პირის მხარდამჭერი მომსახურებები. საორიენტაციო სერვისის პილოტირების შედეგები - საორიენტაციო სერვისით ისარგებლა 56-მა საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა. სერვისის მონაწილეთა 48% ჩაირიცხა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2023 წელს საორიენტაციო სერვისის პილოტირება განხორციელდა 5 რეგიონში: კახეთში, გურიაში, აჭარაში, იმერეთსა და რაჭაში.

სერვისის პილოტირების შედეგები: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაბარების მაჩვენებელი; გაძლიერებული პერსონალი და მომზადებული მეთოდოლოგიური რესურსი; პილოტირებული სერვისი და შედეგებიდან მიღებული დანერგვის რეკომენდაციები;

განათლების სისტემა ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ინდივიდუალურ ასისტენტის პოზიციას. ისინი ტექნიკურთან ერთად მოსწავლეებს საგანმანათლებლო პროცესშიც უწევენ ასისტირებას. ამისათვის განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლების პროფესიული გადამზადება. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლები და სპეციალური მასწავლებლები; ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებების სპეციალურ მასწავლებლები და აღმზრდელ-პედაგოგები; ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები: ფსიქოლოგი: ენისა და მეტყველების სპეციალისტი; ჟესტური ენის თარჯიმანი; ჟესტური ენის სპეციალისტი.

თამარ მახარაშვილმა ისაუბრა პერსონალური ასისტენტის პროგრამის შესახებ. ხაზი გაუსვა პერსონალური ასისტენტების საჭიროებას სკოლებში და აღნიშნა, რომ განათლების სამინისტრო მუშაობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტის მომზადება-გადამზადების პროგრამის შექმნისათვის.

თამარ ჟღენტმა აღნიშნა სფეროები, რომელთა შესახებაც მასწავლებლის სახლმა ჩაატარა ტრეინინგები: მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტი,სენსორული დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლება.

უსინათლო მოსწავლის სწავლების მეთოდები და სტრატეგიები (ბრაილის შრიფტი, მობილობა-ორიენტაცია); მცირემხედველი მოსწავლის სწავლების მეთოდები და სტრატეგიები (ტექნოლოგიების გამოყენება); 115 მასწავლებელი (რეგიონი 68/თბილისი 47); ჟესტური ენის კურსები (I, II, III დონე) ; 20 სპეციალისტი (რეგიონი 9/თბილისი 11); ქართული ჟესტური ენის თარჯიმანთა სერტიფიცირების პროგრამა; 10 თარჯიმანი (რეგიონი 2/თბილისი 8). რეგიონული სასწავლო ტური სპეციალური მასწავლებლებისთვის.

რეგიონებში მომუშავე სპეციალური მასწავლებლების ერთკვირიანი პრაქტიკული კურსი თბილისის წარმატებულ სკოლებსა და სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებში, ადგილზე ვიზიტი, სპიკერების მოწვევა ინკლუზიური განათლების პრაქტიკის შესახებ. ტური მიმდინარეობს აქტიური სწავლებით და ადგილზე უშუალო დაკვირვებით. 2023 წელს ტურში მონაწილეობდა 60 სპეციალური მასწავლებელი, ტური ჩატარდა ორ ნაკადად. ინდივიდუალური კონსულტირების მიმართულება - სწავლის, ქცევის და ემოციური სირთულეების მქონე სსსმ მოსწავლეების განათლების მხარდაჭერა სკოლაში მომუშავე გუნდის და მშობლის კონსულტირების საშუალებით; სკოლის ცნობიერების ამაღლება, ქცევისა და კრიზისული ქცევის მართვის სტრატეგიების სწავლება; 2023 წელს კონსულტირების სერვისი გაეწია 42 მოსწავლეს. მშობლების მხარდამჭერი საგანმანათლებლო სერვისი.

ვებინარები, მშობელთა ცნობიერების ამაღლება ინკლუზიური განათლებისა და ბავშვის განვითარების თავისებურებების შესახებ; ვიდეო რესურსები მშობლებისთვის და სფეროს ექსპერტებთან ინტერაქციული შეხვედრები; 2023 წელს ვებინარებს დაესწრო 3000-მდე მონაწილე. საქართველოს მაღალმთიანი და ბარის შორეული სოფლების საჯარო სკოლებში, რომლებსაც არ ჰყავთ კვალიფიციური სპეციალური მასწავლებელი, სპეციალური კონსულტანტ მასწავლებლებით საკადრო დეფიციტის შევსება. პროექტი უზრუნველყოფს ინფორმაციის გავრცელებას, კომპეტენტური კადრების მოზიდვას, სპეციალისტთა დაინტერესებასა და მაღალმთიან ან ბარის შორეული სოფლების საჯარო სკოლებში განაწილებას. ცნობიერების ამაღლების მიზნით, 2024 წელს დაგეგმილია რეგიონის უნივერსიტეტებთან, რესურსცენტრებთან აქტიური თანამშრომლობა და პროექტის პოპულარიზაცია.

განათლების სამინისტროს წარმომადგენელმა ეკატერინე ლეჟავამ ისაუბრა სკოლის მიღმა დარჩენილი შშმ ბავშვების შესახებ. აღნიშნა, რომ 2020 წლის მონიტორინგმა მოიცვა 2004-2014 წლებში დაბადებული ბავშვები.

კვლევის შედეგად: 2022 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით 611 ბავშვი; 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 290 ბავშვი; ძირითადი მიზეზები: უმძიმესი და მრავლობითი დარღვევები, ფსიქიკური აშლილობა; დაწყებულია მუშაობა 2023 წლის მონიტორინგი ციკლზე. მონიტორინგი მოიცავს 2007-2017 წლებში დაბადებულ ბავშვებს. სკოლის მიღმა დარჩენილ ბავშვებთან დაკავშირებით უკვე სამი წელია არის აწყობილი სისტემა, როცა რამდენიმე სახელმწიფო უწყება ცვლის მონაცემებს და ხდება იმ ბავშვების დაიდენტიფიცირება, რომლებიც არ გამოჩენილან ზოგადი განათლების სისტემაში. აქედან გარკვეული სეგმენტი აღმოჩნდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი. თავდაპირველად 1100მდე ბავშვი ფიქსირდებოდა, ხოლო მას შშემდეგ, რაც სოციალური მუშაკები დაუკავშირდნენ ოჯახებს და გაესაუბრნენ მათ, ბავშვების ნაწილი სკოლებში მივიდა. დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც მშობელი აყოვნებდა ბავშვის სკოლაში მიყვანას, ასევე არის შემთხვევები, როდესაც ბავშვი დადის შშმ პირთა მომსახურების დღის ცენტრში და არ დადის სკოლაში, ამ საკითხზე იქნება სამუშაო, რათა შესაძლებელი გახდეს, დღის ცენტრის პარალელურად სკოლაშიც იაროს ბავშვმა.

განათლების სამინისტროს წარმომადგენლების პრეზენტაციების დასრულების შემდეგ საკონსულტაციო საბჭოს წევრებმა და შეხვედრის დამსწრეებმა დასვეს შეკითხვები.

მაკ ჯორჯიას წარმომადგენელმა მაია ბაგრატიონმა გამოთქვა მოსაზრება დამსწრეებს მიეწოდოთ ინფორმაცია შინ სწავლების შესახებ, როგორ არის დაორგანიზებული შინ სწავლების პროცესი და რატომ გამოიყენება შინ სწავლების მეთოდი, არის თუ არა შინ სწავლების კომპონენტი სრულყოფილი და შეიძლება თუ არა ტრანსპორტირების საკითხი იყოს შინ სწავლების განმსაზღვრელი. ასევე იკითხა რამდენად არის შესაძლებელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრა.

კითხვა-პასუხის რეჟიმში დავით ბიბილეიშვილმა დააზუსტა, სპეციალიზებული სკოლების რესურსსკოლებად გარდაქმნა ხომ არ ითვალისწინებს მომდევნო 20 წლის

განმავლობაში მათთვის სასწავლებლის ფუნქციის შეწყვეტას, რაც მინისტრის მოადგილემ დააზუსტა და განაცხადა, რომ მსგავსი რამ არ იგეგმება. დავით ბიბილეიშვილმა დასვა შეკითხვა - დგას თუ არა დღის წესრიგში შშმ სტუდენტების უნივერსიტეტში ტრანსპორტირების საკითხი.

თამარ მახარაშვილმა დასმულ შეკითხვასთან დაკავშირებით დამსწრეებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ იქმნება დაფინანსების ახალი მოდელი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ყველა ის საკითხი, რომელიც შშმ პირის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის იქნება საჭირო, მათ შორის ტრანსპორტირება.

კოალიცია ბავშვის ადრეული განვითარებისთვის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პრობლემურია სპეციალისტების საკითხი, რომლებიც სახლის ნაცვლად ბაღში განახორციელებენ სერვისს.

ოლღა კალინამ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია მომზადდეს და სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიებთან ჩატარდეს ფსიქიკური შეზღუდვის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი კურსები.

ესმა გუმბერიძემ დასვა შეკითხვა უმაღლესი განათლების საფეხურის ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად რა გეგმა აქვს განათლების სამინისტროს. ასევე მიმოიხილა საერთო საცხოვრებლის საკითხი, აღნიშნა, რომ იგი ადაპტირებული არ არის და შშმ პირები სარგებლობას ვერ ახერხებენ. ხაზი გაუსვა, რომ თბილისში არ მცხოვრებ სტუდენტებს ესაჭიროებათ ბინები, რომელთა დაქირავებისათვის საჭირო ფინანსებს ვერც მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს და ვერც ოჯახები. ამასთან დაკავშირებით ესმა გუმბერიძემ დასვა შეკითხვა თუ რა პოლიტიკა ექნება სამინისტროს სამომავლოდ. ესმა გუმბერიძემ აღნიშნა, რომ სამწუხაროდ რომ უქმდება საქართველოში არსებული სპეციალური განათლების სამაგისტრო პროგრამა.

თბილისის ბაღების გაერთიანების უფროსმა კახა აბულაძემ დააფიქსირა კომენტარი. მან აღნიშნა, რომ სკოლამდელი აღზრდის მიმართულებით პრობლემურ საკითხს წარმოადგენს შშმ ბავშვების იდენტიფიცირება. ხაზი გაუსვა სკოლამდელ აღზრდაში ჩართული ინკლუზიური განათლების სპეციალისტების პროფესიული გადამზადების საჭიროებას, რისთვისაც სასურველია განხორციელდეს შესაბამისი პერსონალის გადამზადება.

ორგანიზაციის „ბავშვი, ოჯახი საზოგადოება“ წარმომადგენელმა მაია ბიბილეიშვილმა გამოთქვა მოსაზრება თუ შესაძლებელი იქნება ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროების ურთიერთთანამშრომლობით დღის ცენტრებშიც გახდეს მისაწვდომი სპეც-პედაგოგების მომსახურება. გარდა ამისა ხაზი გაუსვა რეგიონებში რესურს სკოლების შექმნისა და გაძლიერების საჭიროებას. გამომსვლელმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია დღის ცენტრების ბენეფიციარებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაბარების მხარდაჭერა.

გურამ გოგოლაძემ ისაუბრა პროფესიულ განათლებაში ჩართული შშმ სტუდენტების საჭიროებებსა და პრობლემებზე. ხაზი გაუსვა ტრანსპორტირების საკითხის მნიშვნელობას.

ამირან ბატატუნაშვილმა დააფიქსირა ყრუ პირების საჭიროება მათთვის ინკლუზიური განათლების უზრუნველსაყოფად და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ყრუთა თემის საჭიროებები სწორად იქნას იდენტიფიცირებული.ხაზი გაუსვა რომ სმენის შეზღუდვის შემთხვევაში განსაკუთრებული როლი ენიჭება ჟესტური ენის თარჯიმანს, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს ყრუ პირის განათლების პროცესში. სწორედ ამიტომ აუცილებელია, რომ ჟესტური ენის თარჯიმანს ჰქონდეს სათანადო კვალიფიკაცია და ცოდნა. ასევე გამოთქვა აზრი თუ შესაძლებელი იქნება შეიქმნას ჟესტური ენის პროგრამა უმაღლესი განათლების საფეხურზე, რათა მოხდეს კვალიფიციური თარჯიმნების მომზადება. საუბრის დასასრულს ამირან ბატატუნაშვილმა გამოხატა თანამშრომლობისათვის მზაობა.

ლია ტაბატაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ მნიშვნელოვანია ბავშვის შესაძლებლობებისა და საჭიროებების იდენტიფიცირება სკოლამდელი განათლების საფეხურიდან მოხდეს, რათა ზოგადი განათლების საფეხურზე ტრანზიციის პროცესი ეფექტურად წარიმართოს. დასვა შეკითხვები: საორიენტაციო მომსახურების სერვისს ვინ ახორციელებს და პროფესიული განათლების საფეხურზე გადასვლისას თავიდან რატომ ხდება სსსმ სტატუსის განსაზღვრა, როდესაც პირს ეს სტატუსი ზოგადი განათლების საფეხურზეც აქვს. ასევე შეკითხვა შეეხო კერძო სკოლებისა და ბაღებისათვის მხარდაჭერის მექანიზმს, თუ იგეგმება ამხრივ რაიმე, რათა სსსმ მოსწავლეებმა მათი სერვისებით ისარგებლონ. იგეგმება თუ არა მასწავლებელთათვის სავალდებულო გახდეს ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ტრეინინგ კურსების გავლა.

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელმა ნინო ვალიკოვმა დასვა რამდენიმე შეკითხვა: მანდატურის სამსახურში ინკლუზიური განათლების მიმართულებით მონიტორინგს განახორციელებს განათლების სამინისტრო თუ თავად მანდატურის სამსახური, რამდენად იქნება შესაძლებელი რესურს სკოლებმა ყველა სხვა სკოლას გაუწიონ სათანადო მხარდაჭერა, ვინ უნდა უზრუნველყოს შშმ სტუდენტებისათვის პერსონალური ასისტენტის სერვისის მიწოდება, განათლების თუ ჯანდაცვის სამინისტრომ.

ნიკო თათულაშვილმა შეაჯამა შეხვედრა და აღნიშნა, რომ დამსწრეების მიერ დასმულმა შეკითხვებმა კიდევ ახალი შეხვედრის გამართვის საჭიროება გააჩინა, ასევე აღსანიშნავია, რომ დაისვა შეკითხვები სხვადასხვა მიმართულებით, რომლებზეც პასუხის გასაცემად საჭიროა სხვა უწყებების ჩართულობაც. სწორედ ამიტომ ნიკო თათულაშვილმა გამოთქვა მზაობა დაიგეგმოს შეხვედრა განათლების სამინისტროსა და დასმული შეკითხვების არსიდან გამომდინარე სხვა უწყებებთან ერთად.